საქართველოს სახელმწიფო ... ტფილისი საჯარო ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 203
1877

ივერია

№ 203
1903

სექტემბერი 23, სამშაბათი 1903 წ.

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

სექტემბერი 23, სამშაბათი 1903 წ.

რედაქციისაგან

ვისაც გაზეთის ფული სრულად არ შემოუტანია, რედაქცია სთხოვს, დააჩქარონ ფულის გამოგზავნა.

პირველ სეკდემბრიდგან წლის დამლევამდე

გაზ. „ივერია“

ჰღირს 4 მან. 75 კაპ.

გაზეთის „ივერიის“ ფასი თვეობით 12 თვით—10 მან., 11 თვით—9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით—7 მ. 25 კ., 7 თვით—6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით—5 მ. 50 კაპ. 4 თვით—4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 1 თვით—1 მან. 50 კაპ.

ტფილისის სახაზინო თეატრი
რუსული ოპერა
ანტრეპრიზა მის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.
სამშაბათს, 23 სეკდემბერს 1903 წელს
წარმოდგენილი იქნება
დემონი
ოპერა 5 მოქმედებიანი, 6 სურათად, მუსიკა გუნოსი.
მონაწილეობას იღებენ: ქ-ბი რენე-რადინა, რადიონოვა, ლელინა; ბ-ბი რაისკი, ილიუშენკო, ამირჯანი, კლიუზნერი და ფედოროვი.
უფროსი რეჟისორი ნ. ნ. ბოგოლიუბოვი. კაპელმეისტერი ი. ა. პოჩენი.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
ანონსი: ხვალ, ოთხშაბათს, 24 სეკდემბერს, წარმოდგენილი იქმნება «რუსალკა» ოპერა 5 მოქმედებად, ხარასკევს, 26 სეკდემბერს, წარმოდგენილი იქმნება «ევგენი ონეგინი»; მუსიკა ჩაიკოვსკისა. ბილეთები იყიდება.

წარმოდგენა № 2. ტელეფონი № 617
ქართული თეატრი
ხუთშაბათს, 25 სეკდემბერს 1903 წელს
ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ
წარმოდგენილი იქნება
I
სტუმარი
დრამა 2 მოქმედ. ე. ბრანდესისა, თარგ. ი. მაჭავარიანისა.
II
სიძე—სიმამრი
კომედია 3 მოქმ., გადმოკ. ვ. გუნიას მიერ.
მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ა. კარგარეთელისა, ნ. ჩხეიძე და ნ. ჯავახიშვილი; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, ვ. გუნია, კ. მესხი, დ. მირიანაშვილი, კ. შათირიშვილი.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
რეჟისორი **აკაკი.**

ახალშენიშვილი
ელისაბედის ქუჩა, 38.
იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 სათამდის და 11—2-დის, ხოლო საღამ. 5—7-დის კვირა-უქმე დღეებში 9—2-დის და საღამ. 5—7-მდის. (წლ.)

ხაფიცი ვექილი
გ. ი. გძელიშვილი
გადავიდა მიხეილის ქუჩიდან ველიკოკნიაჟესკაია ქუჩაზე, როტინოვის სახლში, № 10, (გედევანიშვილის სამკურნალოს გვერდით). მთხოვნელებს მიიღებს ჩვეულებრივ ყოველ დღე შაბათს გარდა საღამოობით 7-დგან 9 საათამდე.

ნაფიცი
ვექილი
გვაზავა
გადავიდა: ფრეილინის ქუჩაზე, № 15. (3—1)

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „წერა-კ. გამავრცელებელ საზოგადოების“ მიერ ახლად გამოცემული წიგნები:
1.
წიგნის ისტორია
შედგენილი დ. კარიჭაშვილის მიერ
14 სურათით. 64 გვ. ფასი 20 კაპ.
2,
დანიელ დეფოს
რობინზონ კრუზე
მეორე გამოცემა მრავალის სურათით.
162 გვ. ფასი 30 კ.
წიგნების დაბარება შეიძლება ფას-დადებითაც: Тифлисъ, Общество грамотности.

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირადღეებს გარდა.
დილაობით:
გ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სიდოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდე ავადმყოფობანი.
უ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.
მ. გ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე—კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.
ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთ ავადმყოფობანი.
კ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.
გ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით.
ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.
საღამოობით:
ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია).
ლ. ვ. ბარტოლდი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.
გ. ს. ლევი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.
ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.
გ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.
გ. ა. ნავასარდიანი. 8½—8 ს.
ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. უკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.
რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.
დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.
Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана.* Тифлисъ противъ памятн. Воронцова.
(წლ.)

კერძო სამკურნალო
ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა
კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.
ტელეფონი № 274.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.
დილით:
ვ. ი. ჟიჟინაძე. კბილის სნეულებანი 8 საათიდგან 10 საათამდე.
ლ. ი. კამოევი. საშარდ., ვენერ. და ს-ფილ 10—11 ს.
ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.
ი. პ. ახალშენიშვილი—კბილებისა 10—11 საათ.
ა. გ. მაღალაშვილი. შაკ. და შინაგ. 10—11 ს.
ლ. მ. მონინი. ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.
დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.
ექიმი ქალი **მ. კ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 12—1 ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.
გრ. ვ. სოგოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით 1—2 საათ.
ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 საათ.
საღამოთი:
ა. გ. მაღალაშვილი. შინაგ. ბავშ. ყვავილის აცრა და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.
რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.
(წ.)
46—8 ტელეფონი № 274

ტფილისი

მის იმპერატორებითის უმაღლესობის დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოოზის ძის ავადმყოფობისა გამო ტფილისისა და სხვა ქალაქების მმართველობისა და საზოგადოების დაწესებულებათა მიერ გარდახდილი იყო პარაკლისები, რათა მის უმაღლესობას ჯანმრთელობა მიენიჭოს. ასეთი პარაკლისი გადიხადეს: კავკასიის საექიმო საზოგადოებამ, ქართველ ქალ-

---

ფელეტონი

ალელეგული ოჯახი.

(დასასრული *)

V.

მსხვერპლაძიანთ ოჯახის თავზედ იოკიმეს დედმამისა და შვილების სიკვდილს შემდეგ სამმა წელიწადმა გრიალით განვლო. ამ სამის წლის გრიალი ისეთი მძიმე ტვირთი იყო მისთვის, რომ მარტოხელად დარჩენილის იოკიმეს ზურგმა ველარ ატარა. ამ ტვირთის თრევამ ჩვენი იოკიმე მეტად დასჩაგრა, წელში მოჰხარა, სახე დაუღვრიმა და დააბედშავა. ან-კი რა გაამხიარულებდა?! მთელის სამის წლის განმავლობაში დღე-და-ღამ განუწყვეტლივ შრომობდა. მუდმივის შრომით ნაპოვნნაშოვნი დედმამის დამარხვაზედ აღებულის ვალის მარტო სარგებელს ძლივს ისტუმრებდა, თავნი-კი უკვდავად რჩებოდა. სახელმწიფო და წვრილმანის ხარჯის გადახდა გაულანძლავად, გაულახავად და დაურბევლად იმისთვის შეუძლებელი შეიქმნა. ბოქაულიდან თვით უკანასკნელს გზირამდის, ვინც-კი მის კარზედ მიდიოდა, ყველა იმას ლანძღავდა, სცემდა, არბევდა. მარტოხელად დარჩენილი იოკიმე წინანდელისტელს ხვნა-თესვას ველარ მნსდევდა; რასაც ხნავდა, სთესავდა, ისიც მიწის გაცვეთილობის გამო მეტად ნაკლებს მოსავალს აძლევდა და იმასაც ფასი არა ჰქონდა. შინაურს პირუტყვებს უიალოობის, უმორბედობის გამო ველარა ზრდიდა; რაც შინ ჰყავდა, ისინიც ვალის სარგებელში და სხვა ხარჯის ფულში დარბევის გამო ნახევარ ფასად ეყიდებოდა. სამუშაოდ სადმე წასვლას ვერ ათავხელებდა და, აბა, მარტო ლანძღვა-ტყეპა-რბევა რას გაამდიდრებდა?! გლეხ-კაცურს გემოვნებაზედ განცხრომილის ცხოვრების ვითარება უცბად ტანჯულის ცხოვრების ვითირებაზედ შეეცვალა. ამ ულმობელმა ვითარებამ ჩვენი იოკიმე ღრმად დააფიქრა. წარმოიდგენდა თავის შემოსავლის მთელს ავლა-დიდებას და იტყოდა: „ამით სარგებელს, მღვდელს, მედავითნეს გავისტუმრებ; მაგრამ „ფოსტის“ ფულს, მაღაზიის, ჩაფრის, მწერლის და მამასახლისის ფულს რაღა ვუყო?! ან სალბაშად რა მივცე, წკირი შეშა აღარა მაქვს? უცეცხლოდ, ჰო, გავძლო, გამოუცხობლად ხომ ვერ გავძლებ?! ვენახს ღობე აღარ შევარჩინე; ხეხილი სულ ერთიანად გავჩეხე, დავწვი; ახლა ვაზებსაც ხომ არ გავჩეხავ? ან კიდეც რომ გავჩეხო, რა შეშობა უნდა მიყოს?! ვალი? ვალს რითი გავცე პასუხი? რავქნა, ღმერთმანი, რა მეშველება?!.“ რაკი დარწმუნდებოდა, რომ საიმედო საშველი არსაიდგან არა ჰქონდა, მერმე წარმოიდგენდა, თუ როგორის ლანძღვა-გინებით, ცემა-ტყეპით, მათრახებისა და ჯოხების ტურტურით და უყვირებდნენ: „გამოიტა, გამოიტა!!“ ამ გვარმა ფიქრებმა იოკიმეს სახეს მწუხარების გამომხატველი დაღი დაასვა, მომტირალის გამომეტყველება მისცა. თავზარ-დამცემ სცენების წარმოდგენის შემდეგ იფიქრებდა: „არა, ცხოვრების სალსარი თუ არ გამოვძებნე, ძნელია ჩემი საქმე, ძნელია!“ იოკიმე ბევრჯელ გაება ბურუსით მოცულს ფიქრებში, თავის ცხოვრება ბევრნაირად გაზომ-გამოზომა, აიდ-დაიდო, აწონ-დაწონა, ბევრნაირად მოსაზრა; მაგრამ არ იქნა და არა, ვერ გაიკვლია გზა!..

როგორც იყო, ბოლოს ამ აზრს დაადგა: „ჩემი სოფელში ცხოვრება შეუძლებელია“. მამაპაპის ნატამალის დატოვებაც არ უნდოდა და ძლიერ ემძიმებოდა. „მამაპაპის ნატამალის დატოვება ძნელი ასატანია და არც შეიძლებაო“. ამ ერთმანეთის წინაალმდეგმა აზრებმა დიდხანს აწამეს იოკიმე; გულში უსიტყვოდ ეკითხებოდა თავის თავს:

„სად უნდა წავიდე, რითი უნდა ვიცხოვრო?!, ქალაქ ადგილას უნდა გადავსახლდე: მე დღიურად ვიმუშავებ; მაგდანი გარეცხავს, შეჰკერავს რასმე და ჩვენს მაცხოვრებელს საშუალებას ადვილად ვიშოვით; დათიკოს (ვაჟიშვილის სახელია) ხელობაზე მივაბარებ, ხელობას ისწავლის და ღმერთი გვიშველის“. უკანასკნელი აზრები იოკიმეს ფართოდ, ნათლად უმტკიცებდნენ, არწმუნებდა ქალაქში გარდასახლებით ცხოვრების გაუმჯობესებას. „მერე, აქაურობას რა ვუყო?—ჰკითხავდა თავის თავს—გავყიდო? არა, არა. მაშ დავტოვო? მერე ხომ გაოხრდა უპატრონოდ დატოვებული მამულ-დედული?!. ჰა, მაშ რა ვქნა? ისევ გავყიდი!..“—აქ ღრმად ჩაფიქრდებოდა, თვალწინ წარმოუდგებოდა სიყრმითვე შეჩვეული მიწა-წყალი, სადაც მრავალს მწარეს ტკბილიც არ აკლდა; წარმოუდგებოდა დედმამის და თავის ნაამაგდარი სახლ-კარი, ვენახი, რის დატოვებაც ძლიერ ენანებოდა და მთელს არსებას უშხამავდა. ეს სინანული იოკიმეზე ისე მძლავრად ჰმოქმედებდა, რომ სოფლურს ღარიბს ცხოვრებაში სიკვდილს არჩევდა ქალაქურ მდიდრად ცხოვრებაში სიცოცხლეს: „არა, არა, გასაყიდად ვერ გავიმეტებ!..“

ამგვარად მოჯადოვებულს წრეს გასავალი ვერ უპოვნა და სულ იმას ფიქრობდა: „ქალაქში გადასახლებით ცხოვრების გაუმჯობესება და სოფლურის ნატამალის დაუტოვებლობა“. ეს ორი ერთმანეთის წინაალმდეგი აზრი ერთმანეთს მკაცრად შეეტაკნენ; ფეხქვეშ სათელ მოედნად იოკიმეს არსებობა გაიხადეს და ბრძოლის დროს მის დაღვრემილს სახეზე ბლოკიალით დამღრეჯს ხაზებს ავლებდნენ. ვინ იცის, ამ აზრთა მკვეთრი ბრძოლა როდემდის გასტანდა, რომ ერთს შემთხვევას მისი გარდაწყვეტა არ დაეჩქარებინა და ერთი აზრი მეორესათვის აბივით არ გადაეყლაპინებინა.

—

თებერვლის კვირა დღე იყო. მამასახლისის, მწერლის და ჩაფრის ფულის სათხოვნელად იოკიმეს კარს ჩაფარი და გზირი მიადგნენ:

— იოკიმე!

იოკიმემ გზირის ხმა იცნო და იქვე წელი მოსწყდა. სულიერის ტანჯვის გამომხატველის კრუსუნით მთლად დაღრეჯილ-დაღვრემილი იოკიმე კარზედ გამოვიდა. გზირი დაბჯენილს ჯოხის თავზედ დაწყობილს ხელებს დაეყუდა:

— რა ქენი, იშოვე გროშები?—ჰკითხა გზირმა.

— აი, ისემც დაექცევათ ოჯახი? რამდენი ვიარე, მაგრამ ვერაფერს ღონეს ვერ გავხდი. ეგრეა, შვილო: კაცი თუ გაღარიბდა, ყველა განზედ გაურბის; წინად ყველა მენდობოდა და ეხ...

— შე მ—ლო, ჩვენ ფულსა გთხოვთ და შენ ისტორიებს მომიყე?!—შეუტია ჩაფარმა.

— რა ვქნა, შენი ჭირიმე, ვერ ვიშოვე და რა მოგცეთ?

— ტყლაშ...—გაისმა ჰაერში მათრახის ხმა და თან ჩაფრის სიტყვებიც მიჰყვა:—შე მ—ლო, როგორ თუ ვე იშოვე...

— ტყლაშ... ტყლაშ...—კვლავ გაისმა ხმა და იოკიმეს ზურგზედ მტვერი ავარდა.

ჩაფარმა ერთი მათრახი გზირსაც აწვდინა ბეჭებში და თან დარბევა უბრძანა. შეხურებული გზირი შევარდა სახლში და ცული, ხელეჩო და ქვაბი გამოიტანა.

— თვენი ჭირიმეთ, ეგ ცული მუდამ ხელში მჭირდება, მომეცით და სამაგიერო სხვა წაიღ...

— ტყლაშ... ტყლაშ...—მოიღო მათრახმა ხმა იოკიმეს თავ-პირზედ, რომელიც წამსვე სისხლით შეეღება...

— კარგიათ, კაცო; ახლა, ხომ ვერ მოკლავთ მაგ საცოდავს კაცსა—მოესმა იოკიმეს საბძლის ბოლოს მოგროვილის ხალხის ხმა, რომელმაც მთელს ტანში სირცხვილის ჟრუანტელი დაუტარა.

ასეთი შეურაცხყოფა იოკიმეს არც წინა წლებში აკლდა, მაგრამ წასარჩლებების გამომხატველმა ხალხის ხმაურობამ მისი არსებობა ძირიან-ფესვიანად შეარყია და, თუ რამ თავ-მოყვარეობა ჰქონდა სადმე, სულ ერთად შეაქუჩა და ყურში მაჯავრელასავით ჩასძახოდა: „ეგეც შენი მიწა-წყალი და სოფელი!.. ეგეც შენი ნაფუზარი, ვენახი და სახლ-კარი!.. მაგათ შენ სძულხარ, ლანძღვა-გინებით

---

*) იხ. „ივერია“ № 200.

თა სამკერვალოს გამგეობამ, ტფილისი ებრაელებმა, აქაურმავე თათრებმა—სუ-სნისა და შიას სარწმუნოებისამ, დედათა გიმნაზიებმა და სხვებმა. ზოგს მათგანს სამადლობელი პასუხიც მოუვიდა.

⁂ უმაღლესი წყალობა ებოძათ სასულიერო სემინარიების ინსპექტორების თანაშემწეთ, რომელთაც მაგისტრისა ანუ ღვთის-მეტყველების კანდიდატად დაუმთავრებიათ სასულიერო აკადემია: 1, სამსახურში მერვე ხარისხის მოხელეებად ჩაირიცხებიან, მერვე კლასის მუნდირი უნდა ატარონ და პენსიას მიიღებენ, როგორც სემინარიის მასწავლებელნი; 2, სამსახურში გამწესების დროს წლის ჯამაგირის მესამედი მიეცემათ წინად, ხოლო ჯამაგირში არ ჩაეთვლებათ; 3, უკეთუ სამხედრო ბეგარის კენჭი შეხვდათ, სამსახურში არ წაიყვანენ, ხოლო სათადარიგო ჯარში ჩასთვლიან 18 წლით; 4, სემინარიაში გაკვეთილებიც უნდა აძლიონ (კვირაში არა უმეტეს 6 გაკვეთილისა); 5, სემინარიების სამმართველოების პედაგოგიურ კრებებზედ შეუძლიანთ მონაწილეობა მიიღონ სხვა წევრთა უფლებით; 6, გაუთანაბრდნენ სხვა მასწავლებლებს გაძლიერებულ ჯამაგირის მიღებაში.

⁂ სამრევლო-საეკლესიო სკოლების საბჭოს მიენიჭა უფლება გამოსცადოს მასწავლებლობის ხარისხის მაძიებელნი და ღირსეული მოწმობა მისცენ სამრევლო სკოლების მასწავლებლობისა იმ წესითა და უფლებით, როგორც სემინარიებისა და სასულიერო სასწავლებლების სამმართველოებსა ანუ დედათა საეპარქიო სასწავლებლების საბჭოთა აქვთ მინდობილი.

⁂ უწმიდესსა და უმართებულესს სინოდს დაუდგენია დაარსდეს დედათა მონასტერი წმ. გიორგის ეკკლესიასთან ს. მამკოდში (ტფილისის მაზრა). მონაზონთა რიცხვი უნდა შეესაბამებოდეს თვით მონასტრის შემოსავალს.

⁂ რადგან გუშინწინდელმა ქართულმა წარმოდგენამ საუცხოვოდ ჩაიარა, ქართულ დრამატიულ საზოგადოების კომიტეტსა და რეჟისორს, საზოგადოების სურვილისამებრ, გადაუწყვეტია მომავალ კვირას გაიმეოროს თ-დ დ. ერისთავის დრამა „სამშობლო“ სწორედ იმ სახით, როგორც წარსულ კვირას იყო. ეჭვი არ უნდა გვქონდეს, რომ მეორე წარმოდგენა პირველს ემჯობინება, რადგან ზოგიერთი ნაკლი, პირველ წარმოდგენაზედ შენიშნული, მეორეზე შევსებული იქმნება.

⁂ ჩვენ გვატყობინებენ, რომ თ-დი ბებუთოვი უთმობს თავის მამულს ვერაზედ ტფილისის კადეტთა კორპუსს.

⁂ „საქართველოს საქსარხოსო სასულიერო უწყების“ რედაქციას უთხოვნია საქართველოს ექსარხოსისათვის და მისს მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობასაც გადაუცია რედაქციის რაპორტი ქართლ-კახეთის სინოდის კანტორისათვის იმის შესახებ, რომ ეს სასულიერო ჟურნალი ყველა ეკლესიებმა გამოიწერონ საქართველოს საექსარხოსოში. სინოდის კანტორას ეს თხოვნა შეუწყნარებია და ყველა შტატის ეკლესიისათვის დაუვალებია ამ ჟურნალის გამოწერა, ხოლო იმ პირობით, რომ: 1, ჟურნალმა ჰბეჭდოს სასულიერო მთავრობის განკარგულება; 2, ათში ერთი ყოველ ნომრისა უფასოდ დაუთმოს ღარიბ ეკლესიებს და 3, ყოველ ნომერში ჰბეჭდოს რუსულად ანუ ქართულად დაბალ ხალხისათვის გასაგები სიტყვები, ქადაგებანი და წერილები საეკლესიო შინაარსისა. ეს განკარგულება უნდა ასრულდეს 4 იანვრიდგან 1904 წ.

⁂ ბრმათა სამზრუნველოს კავკასიის განყოფილების საბჭო გვთხოვს დავბეჭდოთ, რომ ამიერ-კავკასიის საქციზო სამმართველომ გამოუგზავნა საბჭოს ბრმათა სასარგებლოდ, როგორც ამ სამმართველოში, ისე მის განყოფილებებში შეგროვილი 1012 მ. 42 კ., ყულაბებიდგან ამოღებული ტფილისსა და სხვა ქალაქებში. ამასთანავე საბჭოს სასიამოვნო მოვალეობად მიაჩნია მადლობა უძღვნას, როგორც აქციზის უწყების მოხელეებს, რომელთაც ამ ფულის შეკრებას ხელი შეუწყეს, ისე შემომწირველთ, რომელთაც თვისი წვლილი ყულაბებში ჩაუშვეს.

⁂ რკინის გზის სამმართველოს გარდაუწყვეტია 1904 წელს დაარსოს ნაძალადევში ერთ-კლასიანი სკოლა, სადაც მიიღებენ მხოლოდ რკინის გზის მოსამსახურეთა შვილებს. („ცნ ფ.“).

⁂ ტფილისის ვაჟთა პირველ გიმნაზიის სადგომში შაბათს, 20 სეკდემბერს, გენერალის რეიტერის თავმჯდომარეობით შესდგა საზოგადო კრება პირუტყვთა მფარველ საზოგადოებისა. ათიოდე წვრიმალ საქმეების განხილვის შემდეგ, გამგეობამ წარუდგინა კრებას ანგარიში, თუ რა შემოსავალი და ხარჯები ჰქონია საზოგადოებას პირველ ივნისიდან 1-ლ სეკდემბრამდე. ივნისში საზოგადოებას შემოსვლია 4,217 მ., ივლისში 3405 მ., ხოლო აგვისტოში 790 მ. სულ 8373 მ. ამავე ხნის განმავლობაში საზოგადოებას დაჰხარჯვია სულ 7563 მ. კრებამ ანგარიში დაამტკიცა თანახმად სარევიზიო კომისიის დადგენილებისა. კრებამ მიიღო აგრეთვე მოხსენება გამგეობისა, რომ საპატიო წევრად იქნეს ამორჩეული გენერალ რალლეს უფროსი შვილი, რადგან მან 500 მ. შეწირვით დახმარება აღმოუჩინა საზოგადოებასაო. დასასრულ ზოგიერთმა წევრმა აღძრა საკითხი იმის შესახებ, რომ რაიმე საშუალება ვიხმაროთ და უსახელო საზოგადოების და ყორღანოვის ტრამვაის მსახურთ მოვაშლევინოთ ცხენების წვალება; წესდების წინააღმდეგ ვაგონებზე 24 კაცზე მეტს უშვებენ და ამით ცხენები მეტად იტანჯებიანო. კრებამ დაადგინა, სთხოვონ ტფილისის საბჭოს კომისიას, რომელსაც მინდობილი აქვს ტრამვაის თვალყურისდევნება, მიიღოს ზომები აღნიშნულ საზოგადოებათა წინააღმდეგ, რომ მათი მსახურნი პირუტყვებს არ სტანჯავდნენ.

სოხუმის ქალაქის მოურავის არჩევნები.

მთელმა ზაფხულმა თითქმის ისე გაიარა, რომ არავის ჩვენ ხმოსანთაგანს არ ეტყობოდა მოურავის არჩევისათვის ზრუნვა. ვისაც-კი ჰკითხავდით, ვინა გსურთ სამოურავო კანდიდატათაო, ხელს დაიქნევდა და მოგიგებდათ, ვინც უნდათ, ის აირჩიონო.

ხმოსნების ასეთმა საქციელმა ძალიან გაათამამა საზოგადო სუფრის მოტრფიალეები, რომლებიც გარდაწყვეტით შეუდგნენ საცადისს, რომ როგორმე თვითონ ჩაეგდოთ ხელში ქალაქის საზოგადო სუფრა. ეს ვაჟბატონები უწინ თუ დაცინვით მიიღებდნენ, რომ ვინმეს მიეწოდებინა მათთვის მოურაობა, დღეს თვითონ ურცხვად უქებდნენ ყველას თავის თავს და სთხოვდნენ წამოეყენებინათ მათი კანდიდატურა. ამ ვაჟბატონების საქციელმა კიდევაც იმოქმედა ხმოსნების უმცირესს ნაწილზე, მაგრამ უმრავლესობამ მხოლოდ მაშინ აახილა თვალი და დაინახა, რომ უმოქმედობას ცუდი შედეგი მოჰყვებოდა ქალაქისათვის და არ მიაქციეს ყურადღება ამ ძალად მაცხონე ვაჟბატონებს, არამედ თვითონ შეუდგნენ შესაბამის კანდიდატის ძებნას. ცოტას ხანში კიდევაც დაასახელეს სტატსკი სოვეტნიკი ვასილ ნიკოლოოზის ძე აბულაძე, რომელმაც თანხმობა გამოაცხადა სოხუმის მოურავობაზე.

მივიდა თუ არა ეს ამბავი საზოგადო სუფრის ტრფიალთა ყურამდე შეჰქნეს ერთი ჩოჩქოლი, როგორ გაბედეს—ჩვენ გვერდი აგვიარეს და სხვა გამოსძებნეს კანდიდატათაო! აფრინეს მაშინვე წერილი თავიანთ მფარველ „ჩერნომორსკი ვესტნიკთან“—გვიშველე რამე, თორემ სოხუმი დაიღუპება, თუ ხმოსნებმა თავისი არ დაიშალეს და აბულაძე აირჩიესო (რასაკვირველია, უფრო იმასა სცდილობდნენ, რომ საზოგადო სუფრა არ გამოსცლოდათ ხელიდან).

ბ-მა პალმმაც იწყო თავისებური ყიამყრალობა თავის გაზეთის № 2365-ში, მაგრამ, დარწმუნდა რა, დიდს სარგებლობას ვერაფერს მოვუტან ჩემ თაყვანის-მცემელთაო, იფიქრა, ერთი მოვიგონებ ჩემს ძველს ხელობას ვიმასხარებ და გავაცინებ მაინც, თუ სხვა ვერა ვარგე რაო და ასეთის, მათთვის გულის მოსაფხანის სიტყვებით დაათავა წერილი, რომელიც სოხუმის არჩევნებს უძღვნა: „Среди зловѣщей тишины раздаются стуки падающихъ въ ящикъ шаровъ и развѣ только съ улицы долетятъ возгласы какого нибудь добродушнаго русачка: засахокивай, ребята, засахокивай“... ამ მისმა სიტყვამ, მართალია, ბევრი გააცინა, მაგრამ ამ სიცილში მხოლოდ პალმის დაცინვა იხატებოდა და სხვა არაფერი.

15 დეკემბერს, როცა არჩევნები იყო დანიშნული ქალაქში დიდი მოძრაობა იყო, საზოგადო სუფრაზედ ყელ-მოღერების მსურველნი აქეთ იქით დარბოდნენ და გაიძახოდნენ—ასე თუ ისე, მოურავის ტახტზე ჩვენ უნდა წამოვსკუპდეთო და ვაი თქვენი ბრალი, ვინც შავს ჩაგვიგდებთო.

საღამოზედ იმდენი ხალხი მიაწყდა საბჭოს, რომ არამც თუ დარბაზი, მთელი ეზო და ქუჩებიც-კი გაჭედილი იყო ხალხით. არჩევნები ცხრა საათზე დაიწყო. საბჭოს თავმჯდომარემ ბ-ნმა მარკოვმა კრებას წარუდგინა აბულაძის ცენზი, რომელიც კანონიერად იქმნა ცნობილი ყველასაგან. შემდეგ შეუდგნენ წერილებით კანდიდატების დასახელებას. დასახელებულ იქმნენ: სტატსკი სოვეტნიკი აბულაძე—19 ხმით, ნაფიცი ვექილის თანაშემწე ზახაროვი—9 ხმით, ბ-ნი დალი—4, ქუდრა, ტომარა და გოგრიჯიძე თითო ხმით.

ოთხმა უკანასკნელმა უარი განაცხადა კენჭის ყრაზე. ყუთები დაუდგეს ბბ-ნთ აბულაძესა და ზახაროვს. აბულაძის წინააღმდეგთ არ ეგონათ, თუ მართლა ხმოსნების დიდი უმრავლესობა იმას დაასახელებდა და მაინც კიდევ იმედი ჰქონდათ, ბურთი და მოედანი ჩვენ დაგვრჩებაო, მაგრამ რო დაინახეს, რომ საქმემ მათთვის არა სასურველი მიმართულება მიიღო, მიჰყვეს ხრიკებს ხელი, რომ როგორმე გადაეთქმევინებინათ ხმოსნებისათვის მათი გარდაწყვეტილება.

აი მაგალ. ხმოსანმა ქუდრამ განაცხადა, რადგან ბ-ნი აბულაძე სოხუმის მოქალაქე არ არის და წარმოდგენილი ცენზი მხოლოდ ფორმისთვის მოფოხილიაო, მე პროტესტს ვაცხადებ მის არჩევაზეო.

თავმჯდომარემ შენიშნა, რომ კანონი ნებას აძლევს ამ ნაირი ცენზი წარმოადგინოსო (ვექილობით) და, თუ მაინცა და მაინც აქ რამე უკანონობას ჰპოულობთ, თუ გსურთ, ოქმში ჩავურთავთ თქვენს სიტყვებსაო, მაგრამ ბ-ნმა ქუდრამ უარი განაცხადა, რადგან აშკარა იყო, ეს უსაბუთო პროტესტი მხოლოდ იმიტომ იყო მის მიერ გამოცხადებული, რომ აზრი შეეცვლევინებია როგორმე ხმოსნებისათვის და აბულაძე არ აერჩიათ.

შემდეგ შეუდგნენ კენჭის ყრას და აღმოჩნდა, რომ აბულაძემ მიიღო 22 თეთრი და 13 შავი და ზახაროვმა-კი 12 თეთრი და 21 შავი. ამნაირად მოურავის თანამდებობაზე არჩეულ იქმნა ბ-ნი ვას. ნიკ. აბულაძე.

მოურავის არჩევის შემდეგ დასახელებულ იქმნენ კანდიდატები გამგეობის წევრის თანამდებობაზე, სულ დაასახელეს წერილებით შემდეგი კაცი: ნოვოროსიის უნივერსიტეტში კურს დამთავრებული ბ-ნი ლოონტი, 13 ხმით, ექიმი მაჰავარიანი—7, ბ-ნი დიმიტრი მეტაქსა—4, კოტლიაროვი 5, ქუდრა—3, კნიშენკო—4 და იაკოვჩუკი—1.

ამ დასახელებულთაგან ყველამ უარი განაცხადა, გარდა ლოონტიისა და მაჰავარიანისა, რომელთაც უყარეს კენჭი.

როცა კენჭები დასთვალეს, აღმოჩნდა, რომ არჩეულ იქმნა ექიმი მაჰავარიანი—20 თეთრი და 15 შავი. და ლოონტი-კი არ იქმნა არჩეული: ამოუვიდა 12 თეთრი და 23 შავი.

კოლო

ჩვენებური ამბები

ქ. ქუთაისი. დღეს, 20 სეკდემბერს, საღამოს მატარებლით დაბრუნდა დიდი მესხიშვილი. კარგად არის, სუნთქვა თავისუფალი აქვს, საკმარისად ხმა მაღლა ლაპარაკობს, მხოლოდ სრულიად დაწმენდილი არა აქვს ხმა და ცოტაოდნად კიდევ ახრიალებს. მგზავრობაში ცოტათი გაციებულა და იმედი აქვს, რომ მალე უფრო დაეწმინდება ხმა.

— იქიდანვე. 6 სეკდემბერს, ქუთაისის საბჭოს გადაწყვეტილება შესახებ სავაჭრო მაღაზიების დაკეტვისა კვირა დღეებში და თორმეტ საუფლისწულო დღესასწაულის დღეებში; ქალაქის საკრებულოს არ დაუმტკიცებია, რადგანაც კანონმდებლობაში ვერ უნახავთ იმისთანა მუხლი, რომლის ძალითაც საბჭოს ეძლეოდეს ამისთანა დადგენილების კეთება.

სოფ. თარგამეული (სენაკის მაზრა). ჩვენს პატარა სოფელ თარგამეულში 65 კომლამდე მცხოვრებელი გლეხია, რომელთაც საერთო გაჭირვება-დახლხინებაში ძალიან კარგი მეზობლობა აქვთ ურთ-ერთში; მაგრამ ერთი საქმის გამო-კი ორ ნაწილად არიან გაყოფილნი. ერთი ნაწილი თხოულობს სასაფლაოს საშუალო ადგილს, ხოლო მეორე ნაწილს, ე. ი. უმცირესობას სურს ის ადგილი იყოს სასაფლაოდ, რომელიც მ. ბლადოჩინმა ჩაჩიბაიამ აკურთხა და რომელიც სოფელზედ მოშორებით არის. ამასთან უნდა მართალი მოგახსენოთ, ეს ადგილი მეტად უხერხულიც არის, რადგან ყოველ წყალდიდობის დროს მდინარე ტეხურა ზედ გადაივლის ხოლმე.

გაგვიკვირდა მ. ბლადოჩინი, თავისი სიტყვა და საქმე უნდა გაიყვანოს და მრევლის მუდარა ხვეწნას-კი ყურს არ უგდებს. არ ვიცით, ბლადოჩინია ერისათვის დანიშნული, თუ მრევლი ბლადოჩინისათვის?!

ჩვენი სოფელი თამაკონის საზოგადოებას ეკუთვნის და 2—3 ვერსით არის დაშორებული. ჩვენი პატარა ბავშვები თამაკონის სამინისტრო სასწავლებელში დადიან და სწავლობენ; მაგრამ ქართულის კითხვა-კი ძალიან ცუდად იციან, თუმცა მასწავლებელი ქართველი გვყავს! რა მიზეზია, ვერ გაგვი-

---

გდევნიან, ცემა-ტყეპით გიშორებენ, მაგრამ... შენ მაინც არ შორდები!..“ ამ მაჯავრელა ხმამ ერთიანად შეაძულა არამც თუ სოფელში ცხოვრება, არამედ თვით სოფლის არსებობაც.

მესამე დღეს, ბევრის ფიქრის შემდეგ თავ-პირ დალურჯებული იოკიმე, ასეთს გარდაწყვეტილებას დაადგა: „შემოდგომამდის სულ მივყიდ-მოვყიდი, რაც რამ მაბადია და ვალს-ვახშს გავუსწორდები; აქაურის „კამერალიიდგან“ ამოვეშვები და ქალაქისაში ჩავეწერები; შემოდგომაზე ზამთრის სარჩოს ჩავიბარგავ, აქაურობას ქვას მივაგდებ და ქალაქისაკენ ჰერი...

ამ გვარად მოჯადოებულის წრიდგან გამოძვრა, თავისუფლად ამოისუნთქა და ცოტა მხიარულობაც დაეტყო. ეს გარდაწყვეტილება ყველა თავისს მოკეთეებს გაუზიარა. მოკეთეებმა ზოგმა მოუწონა, ზოგმაც თავისებურად გაჰკილა და დაუწუნა. იოკიმე კი უმტკიცებდა, რომ კარგად ვიცხოვრებო და საბუთად ეს მოჰყავდა: „მე დღიურად ვიმუშავებ, ჩემი ცოლი სარეცხს გარეცხს, საკერავს შეჰკერავს; ბიჭს ხელობაზედ მივაბარებ; სხვა არა იყვესრა, ქალაქს მაინც გავადიდებო!!.“ გაიხუმრებდა ხოლმე ბოლოს.

ამასობაში მარტის მესამე კვირამაც გაიარა. მთებზედ თოვლმა დნობა იწყო და გაზაფხულის წყლები მატულობდა. X-ის მაზრის სოფლების ხალხი, ერთის კვირის საგძლით ბეგარაზე გაიწვიეს და წყლების ყალიბების გასამაგრებლად ურმებით კლდის ზიდვა დააკისრეს. სხვებთან ერთად იქცეველებიც გარეკეს და იოკიმეც თან გააყოლეს.

VI

იქცეველების ბეგარაზე გარეკვის შემდეგ სამმა დღემ გაიარა. მეოთხე დღეს შუაღამის შემდეგ მარტმა თავისებური ქარიშხლიანი თოვლ-ჭყაპი დაიწყო. მეხუთე დღეს, შუადღე კარგად გადასული იყო, რომ ქარი ჩადგა. თოვლ-ჭყაპი მსხვილს და ხშირს თოვლზე შეიცვალა. სითბო მოკრებილი დედამიწა თოვლს დაცემის უმალ აღნობდა და აჭყაპულს ტალახში გუბეებად აყენებდა. ჰაერში მომავალი თოვლი, ბუზივით ირეოდა და თავისის მოგზაურობით გათეთრებულს ცის კამარას ჰზოლავდა. ყოველი უსულო საგანი და თვით ხეების წვრილი ტოტებიც-კი ისე გასტერებულიყო, რომ კაცს ეგონებოდა, ჰაერში მომავალის თოვლის შრიალს ყურს უგდებსო. ერთს საჩალის ქვეშ სოფლის პატარა ბიჭები, მათ შორის იოკიმეს ვაჟიშვილი დათიკოც—კოჭაობდნენ. მათი ბავშვური ხმა-მაღლა ლაპარაკი მიყრუებულს არე-მარეს მკვეთრად ეფინებოდა. იქვე, საბძლის წამოფარებულს ქვეშ უბეში ხელებ-ჩაწყობილი კაცები შეგროვილიყვნენ და მარტს სამდურავს უცხადებდნენ:

— „მარტი რომ წინ გედოს, ზამთარს ნურც აქებ და ნურც აძაგებო,“—ამბობდა ერთი.

— მარტის თვე ძაან ბოროტი თვეა—დაიწყო მეორემ,—ერთმა მეცხვარემ თურმე დაიკვეხა: „ისე გავიდა მარტიო, ვერ მოკლა ციკნის ბარტყიო“. ამაზე მარტს გული მოუვიდა და აპრილისაგან სამი დღე ისესხა. ისესხა, ბიჭო, და იმ სამ დღეს სუ კორიანტლის ბუქი დააყენა. ისეთი ქარიშხალი და ტეხვრა ასტეხა, რომ ძაღლიც არ გაიგდებოდა გარეთ, არამც თუ ცხვარი. ი მეცხვარეც კაი გამოცდილი ბიჭი თურმე იყო. სხვა რომ ველარა მოიგონა რა, ერთს გამხმარს დიდ გუდაში კატა თურმე ჩასვა, მოჰკრა პირი და შუა ფარეხში მაღლა ჩამოჰკიდა. კატამ კნავილ-ჩხავილით გუდას კლანჭებით ხრაგა-ხრუგი აუყენა. ამ ხრაგა-ხრუგზედ ცხვარი დაფრთხა, დაფეთდა და სულ გუდას შესცქეროდა. ცხვარი შიშმა ისე გაიტაცა, რომ სამს დღეს შიმშილი არ უგრძვნია. მეოთხე დღეს დადგა აპრილი და კიდეც გამოიდარა. მეცხვარემაც ცხვარი უვნებლად გამოუშვა ფარეხიდგან...

— ჰაჰა! ყოჩაღ, ბიჭო მეცხვარე! მართალია, მარტი ყოფილა ხერხში, მაგრამ არც მეცხვარე ყოფილა ტყეში—დააყოლა მესამემ.

— ვაუუუ!—გაისმა ძაღლის უსიამოვნო ღმუილი.

ხალხი შეკრთა, ყური დაუგდო და, რაკი კიდევ განმეორდა ჰაერში ძაღლის უსიამოვნო ღმუილი, ერთმა მიაძახა:

— აი, შენი თავი ამოიჭამე, შე საოხრო, შენა!

— ეგ ვერანი ისე ყმუის, რომ სწორედ ამოიჭამს ვისმე—სთქვა მეორემ.

— ვისია, ბიჭო—იკითხა მესამემ.

— ვისია და იოკიმესია, ეგ ვერანი, ეგა,—მიუგო პირველმა.

მაგდანი თავის პატარა ქალი-შვილით ამ დროს სახლში ბუხართან იჯდა და მწარე წარსულს იგონებდა.

— ეს დასამიწებელი გული რაღას მიფთხრიალებს მე უბედურსა და ჩაჭოლილსა!—თითქმის გასაგონრად წამოიძახა და თან ამოიოხრა.

— ნათლი დედ!—ოდნავ შემოესმა მაგდანს გარედგან, მაგრამ მსმენელობას არ დაუჯერა.

— ნათლიდედ! პატარა ხანს კარზედ გამობძანდი!—განმეორდა ხმა.

მაგდანმა იცნო გზირის ხმა, რომელიც ელდასავით ეცა გულში და მთელს ტანში შიშის ჟრუანტელმა დაუარა. გული მაშინვე დათიკოსკენ გაუქანდა. დათიკოზედ ფიქრმა ბეგარაზედ წასული იოკიმეც მოაგონდა გიჟივით გამოვარდა გარედ.

— იოკიმე ცოტა უქეიფოდ გამხდარა, ურმით მოყავთ და ნუ შეგეშინდებ,—უთხრა გზირმა და გამოტრიალდა.

თავზარ დაცემული მაგდანი შინ ტირილით შეიჭრა. ტირილის გამგონმა ძაღლმა გარედ ყმუილი გააბა. ჯერ სრც-კი გათავებულიყო შემზარავის ხმით ძაღლის ყმუილი და მის შესახებ უვიცობის სჯაბაასი, რომ მსხვერპლამძიანთ ოჯახის კარს ტომრებ წაფარებული იოკიმე ურმით მიაყენეს. ხარები გამოუშვეს, ჩააბარეს ორ კაცს და თანაც დაავალეს: „მაგ ხარებს ლაჯებში შავი უნიშნო ქათამი გამოაკალითო.“ ცნობის მოყვარეობით გატაცებულმა ერთმა მეზობელთაგანმა იოკიმეს თავზედ წაფარებული ტომარა გადახადა.

რა დაინახა შესაზარად განაჭყლეტი თავი, გააჟრჟოლა და საჩქაროდვე წააფარა. საკინძ-გახსნილმა თან მოყოლილმა კაცებმა იოკიმეს უსულო გვამი ურმიდგან ჩამოიღეს და თავ-ჩაქინდრულებმა სახლში ტორტმანით შეიტანეს. რა დაინახა მაგდანმა ცხედარი, მორთო წივილ-კივილი წაიშინ თავ-პირში ხელები და ხოჭაღლეჯით იქაჭებოდა. სიცივისაგან გაკრიალებულმა ჰაერმა ეს ხმაურობა მთელს სოფელს ელდასავით მოჰფინა. შეიძრა ხალხი, რომელიც იოკიმეს სახლისკენ ამბავის შესატყობად გარბოდა. სახტად დარჩენილი კოჭაობით გართული ბავშვებიც პაშტერებით უცქეროდნენ და მიზეზს ვერ მიმხვდარიყვნენ. დათიკო-კი მიხვდა, რომ მის თავზედ კარგი ამბავი არ იყო. გაფითრებული მიდიოდა შინისკენ და თან მუხლები ეკეცებოდა. მივიდა სახლში, სადაც შეგროვილი ქალი და კაცი დრტვინავდა: ზოგნი ხმით, ზოგნი უხმოდ სტიროდნენ; ზოგნიც გაჭირვებულს ჭირისუფალს გულს უკეთებდნენ, ამხნევებდნენ და ანუგეშებდნენ; პიწაზედ გაშლილს ჭილოფზედ დასვენებული იოკიმე-კი ისევ ტომრებ წაფარებული წრეთ გაკეთებულს მომტირალთა შუა იდო. როგორც იყო, მოიოხეს ტირილით გული; დაჩუმდნენ ყველანი გარდა მაგდანისა, რომელიც ნაილაჯომით-ღა განაგრძობდა ტირილს:

— მითხარით, გენაცვალეთ, ვინ დაიდო ჩემი ცოდო და ან ჩემი ორის შვილისა?! მითხარით, თქვენი ჭირიმე, ვინ გამოგვჭრა ყელები?! რატომ არ მეტყვით, გეთაყვანეთ, ვისმა გასახმობმა მარჯვენამ მოუღო ბოლო ჩემს იოკიმესა?!

აქ-კი ერთმა ხანში შესულმა გლეხკაცმა წესიერების აღსადგენად ხმა აიმაღლა:

— გიჟია ე დედა-კაცი, ეე! შენ აღარ გაჩუმდი, შენი ტირილისაგან ყურთა სმენა აღარ არის და, გინაც რომ სთქვას რამე, ვინ რა უნდა გაიგონოს, რა დაგემართა, რა იყო?! ვის არ მოსვლია მაგისთანა საქმე, მაგაზე უარესიც, რომ აგრე მეტის

გია? სოფელში, სოფლის მასწავლებელმა ჯერ ქართული უნდა შეასწავლოს, რომ ყმაწვილმა თავის დედა-ენაზე გაიგოს ყოველი საგანი და მერმე უფრო ადვილად არ გაიგებს სახელმწიფო ენას? იმედია, ჩვენი პატივცემული მასწავლებელი ბ-ნი ამბაკო ბ. ჩ-ტაძე მიაქცევს ამას ყურადღებას.

თამკონის საზოგადოების სასწავლებელთან არის კარგი გაშენებული ბაღი, ზომით ორი ქცევა. ამ ბაღში თარგმეულის მცხოვრებთაც წილი უდევთ და გაკვირვებულნი ვართ, ამისთანა ბაღმა ნუ თუ არაფერი შემოსავალი არ უნდა მისცეს სკოლას? თუ რამე შემოსავალი არის ბაღიდან, რატომ არ იციან მცხოვრებლებმა? საჭიროა ამის გაგება.

წელს, ჩვენსკენ, სიმინდის და სხვა პურნახულის მოსავალს კარგი პირი უჩანდა, მაგრამ გამუდმებულმა წვიმა-ნიავ-დვრებმა ძალიან დაზარალა ყოველი ნაყოფი და, ვინც ასი მანეთის ნამუშევარს გაჰყიდდა, ის წელს ოცი მანეთისას ვეღარ გაჰყიდის. რაც შეეხება ძველს სიმინდს, იმასაც რაღაც ჭია-ჰეპელა გაუჩნდა და გლეხები ძალიან ჩააფიქრიანა. წელს აბრეშუმის მოსავალი ჩვენსკენ კარგი იყო, ვისაც-კი ჰქონდა, ფუთი ნედლი პარკი 16—18 მანეთად გაიყიდა; მაგრამ, საუბედუროდ, ზოგიერთები უთესლოდ დარჩნენ. თითო ფუთში 5—6 მანეთს იძლეოდნენ, მაგრამ თესლი არ იყო. ამიტომ ბევრს პარკი არ გაუყიდნია.— ჩვენი სოფლის მღვდელი მ. ჯავახია, როგორც ახლად მოსული ჩვენში, რა ნახა, რომ გლეხობაში პარტიობაა და შუღლი სასაფლაოს შესახებ, ძალიან სცდილობს შეარიგოს ორივე მხარე და ბოლო მოუღოს მათ შორის ყოველს დავიდარაბას. ღმერთმა ჰქნას, მ. ჯავახიას გაეწესრიგებინოს ჩვენის გლეხების საქმე სასაფლაოს შესახებ.

დაგვიანებული მგზავრი.

რუსეთი

სამთო-მადნო ინსტიტუტს ნება მისცეს მიიღოს ყველანი, ვინც კარგად დაიჭირა ეგზამენი, თუმცა ვაკანსია მხოლოდ 50 იყო. ამიტომ მიიღეს კიდევ 39 კაცი. მიიღეს კიდევ 13, რომელთაც უმაღლესი სასწავლებელი ჰქონდათ დასრულებული.

— პეტერბურგშია ამ ჟამად მოგზაური იაპონელი ნაკამურა. 1901 წლიდან დაუწყვია მოგზაურობა უგროშოდ, უკაპიკოდ. დედა-ენისა და ინგლისურის მეტი სხვა ენა არა სცოდნია და დღემდე სულ დაუვლია ქვეყნები აზიისა, ევროპისა და აფრიკისა.

— დიდის ამბით ემზადებიან მერმის 50 წლის შესრულების დღესასწაულის გადახდას სევასტოპოლის დაცვისას. ცალკე კომიტეტს, რომელიც უმაღლესად იქმნა დამტკიცებული, მინდობილი აქვს მოაწყოს დღესასწაული.

— განზრახვა აქვთ დააწესონ მერმისიდან, რომ ფულიანი და ფასიანი პაკეტები სახლში მიუტანონ ხოლმე ადრესატს, თუ გამგზავნი ისურვებს.

— უნდათ შემოიღონ რკინის გზებზედ, რომ მეისრეს მაგიერ, ავტომატიურად გადაიყვან-გადმოიყვანონ ისრები და მოუმზადონ გზა მატარებელს. ეს საქმე მოწყობილი იქნება თვით სადგურში და მისი გამგებლობა ექმნება ჩაბარებული განათლებულს აგენტს და არა უბრალო მეისრეს.

— საერო განათლების კომისიას უნდა დაურიგოს ქალაქის სკოლების უფროს შეგირდებს თხზულებანი პუშკინისა, ჟუკოვსკისა, გოგოლისა და კრილოვისა. ამას მოუნდება 15,000 მან.

— 8 ოკდომბერს, განიხილავს სასამართლო უფის გუბერნიის სოფ. ზლატოუსტში მომხდარ უწესოებათა მეთაურების საქმეს. ამ საქმის გამო ციხეშია დაპატიმრებული 33 კაცი მთავრობის განკარგულების წინააღმდეგობისათვის, მოწმენი გამოწვეულია ბრალდების მხრივ 50, დამცველთა მხრივ 156. განხილვა საჯარო არ იქნება. უფის ადვოკატების გარდა ბრალდებულთ დაიცვამენ სხვა ქალაქების ადვოკატებიცა.

— ხერსონის გუბერნიაში ქ. ტირასპოლს საერო სკოლების მასწავლებელთა კრებამ, სხვათა შორის, დაადგინა: სასურველია სამის წლის მაგიერ, ოთხის წლის კურსი იქმნას შემოღებული, ხოლო იქ, საცა უცხო ტომის ბავშვენი სწავლობენ, ხუთ წლამდე იყოს კურსი განგრძობილიო; კრებამ მიანდო გამოცდილ პედაგოგებს, შეადგინონ საყმაწვილო სახელმძღვანელო და შეუფერონ ადგილობრივ ვითარებას და სხვ.

— ამ დღეებში დამტკიცდა წესდება სტუდენტების საზოგადოებისა, რომელსაც ეწოდება საზოგადოება ხელოვნებისა და სიტყვა-კაზმულის ლიტერატურისა მოსკოვის უნივერსიტეტთან.

უცხოეთი

ბულგარია. გაზ. „ჟურნალ“-ის თანამშრომელს საუბარი ჰქონია ბულგარიის მინისტრ-პრეზიდენტ რაჩო პეტროვთან მაკედონიის საქმეთა შესახებ.

პეტროვს განუცხადებია,—სოფიაში მყოფმა ოსმალეთის კომისარმა აცნობა ჩვენს მთავრობას ხონთქრის განზრახვა, ბულგარიის მიერ შემოდგომაზედ წარდგენილ რეფორმათა პროგრამმას განვახორციელებო. თუ ხონთქარს მართლა წრფელი განზრახვა აქვს, და არა თვალთმაქცი სურვილი გააჭიანუროს საქმე და დიდ სახელმწიფოთა ჩარევა თავიდგან აიცდინოს, უნდა ვიგულისხმოთ, რომ მშვიდობიანობა არ დაირღვევა. მხოლოდ ნურავის უკვირს, თუ ბულგარიის მთავრობა ეჭვის თვალით უყურებს კომისარის განცხადებას. ოსმალეთის მთავრობის სიწრფელეს, მხოლოდ მაშინ ვერწმუნებით, როცა ბრძანებას გასცემს,—შესწყვიტეთ მშვიდ მცხოვრებთა დევნა და სოფლების ცეცხლით განადგურება მაკედონიასა და ადრიანოპოლის ვილაიეტშიო. დღემდე ასეთი ბრძანება არავის გაუცია. აბა როგორ ვერწმუნოთ ოსმალეთის მთავრობის სიტყვებს, როცა დანამდვილებით ვიცით, რომ ბულგარიის ოლქში თავი მოუყრია 11,000 ადრიანოპოლის ვილაიეტიდგან ლტოლვილ ბულგარსა?... ბულგარიას არა სწადიან ომიანობა, მაგრამ თუ მაკედონიასა და ადრიანოპოლის ვილაიეტში ბოლო არ მოეღო ოსმალთა მტარვალობას, ჩვენი მთავრობა, უეჭველია, იძულებული შეიქნება უკუ აგდოს თავ-შეკავება და ყურად იღოს ხმა საზოგადოებრივ აზრისა, რომელიც გამოწვეულია თანამოძმეთა ტანჯვით... დიდმა სახელმწიფოებმა უზრუნველ-ჰყვეს,—ოსმალეთი ვერაოდეს ვერ შეესევა ბულგარიასაო, მაგრამ ჩვენ სხვას ვფიქრობთ: ოსმალეთს რომ საკმაო ჯარი ჰყავდეს, ამდენ ხანსაც დაგვეცემოდა თავსა... ის აზრი, ვითომ რეფორმათა განხორციელება აჯანყების ჩაქრობაზედ იყოს დამოკიდებული, სრულიად უსაფუძვლოა. ყოვლად შეუძლებელია სრული უფლება მიეცეს ოსმალეთს ამბოხების მოსარიდებლად. ეს ხომ იმას მოასწავებს, რომ ოსმალეთმა სისტემატიურად გასწყვიტოს ქრისტეანნი მკვიდრნი. განა ეს ჩვეულებაც არა აქვს გარდაქცეული,—მუსრი გაავლოს იმ ქვეშევრდომთ, რომელზედაც ეჭვს მიიტანს, მტრულად გვიყურებენო. ამიტომაა, რომ ოსმალეთის ჯარები მშვიდობიან მკვიდრთ უარეს დღეს აყენებენ, ვიდრე მეამბოხეთ. სომხეთში ოსმალები ერთბაშად ჰჟლეტდნენ მცხოვრებთ, მაკედონიაში კი— ნაწილ-ნაწილად, თანდა-თანობით თუ ევროპასა ჰსურს, რომ გულ-ხელდაკრეფით ვუყუროთ, რაც ჩვენს მოძმეთა თავსა ჰხდება, ეს ხომ ყოვლად უზომო მსხვერპლის მოთხოვნაა— თითქმის თავის მოკვლას უდრის. ნუ თუ ევროპასა სწადიან ორ ცეცხლ შუა ჩაგვაყენოს: ან ომი ავსტეხოთ, ან გულგრილად შევყურებდეთ მოძმეთა ჟლეტას? თუ ასეთ არჩევანს მოგვცემს, ჩვენ არ დავაყოვნებთ პასუხის მიცემას. როგორც კერძო ადამიანი, ისე მთელი ერიც ხანდახან ისეთ მდგომარეობაში ვარდება, როცა სასოწარკვეთილება ნებას აღარ აძლევს ასწონ-დასწონოს თავის მოქმედების შედეგი, საით უნდა გადაჰყანთოს მოვალეობის სასწორმა, თუ ერთს მხარეს ომს დასდებენ და მეორეს —მოძმეთა დაუნდობელს ჟლეტას, ან კიდევ ომსა და მეორეს მხრით—რევოლუციას თვით ბოლგარიაშივე? როგორ არ უნდა აგვესოს ნაღვლით გული კაცსა, როცა გაიხსენებ, რომ მხოლოდ ერთი თითის დაქნევა, სულ მცირე დემონსტრაცია, თუნდ, მაგ., ფლოტის დემონსტრაცია, სრულიად საკმაოა ოსმალთა მტარვალობის მოსასპობად, დაუნდობელ სისხლის ღვრის შესაწყვეტად!“

როდესაც გაზეთის თანამშრომელს უკითხავს,— რა და რა მოთხოვნილებანი ბულგარიისა უნდა დააკმაყოფილოს ოსმალეთმა, რომ მათ შორის ომი არ ასტყდეს,—რაჩო პეტროვმა მიუგო: „უპირველეს ყოვლისა, ოსმალეთმა უკანვე უნდა გაიწვიოს ჯარები, რომელთაც თავი მოუყარა ჩვენს საზღვრებზედ და იმ ადგილებში, საცა არც ერთი მეამბოხე არ მოიპოვება,—რადგან სწადიან მუდამ შიშ ქვეშ ვყავდეთ. გარდა ამისა, ხელი უნდა აიღოს ქრისტეანეთა დევნასა და სოფელთა ცეცხლით განადგურებაზედ, აპატიოს ყველა მაკედონელთ, დაამკვიდროს თავ-თავიანთ ნაფუძვარზედ ლტოლვილნი და ხელი მოუმართოს სახლ-კარობის გამართვის დროს. ეს ყოველივე მანამდე უნდა გადასწყდეს, სანამ რეფორმათა გეგმის განხორციელებას შეუდგებოდნენ. რეფორმათა კომისიაში უნდა დაინიშნენ ბულგარებიც, რომელთა რიცხვიც მაჰმადიანთა რიცხვზედ ნაკლები არ უნდა იქმნას. ერთი მათგანი უნდა არჩეულ იქმნას შუამავლად ხონთქარსა და კომისიას შორის. კომისიას უნდა დაევალოს მოწყობა სათემო თვითმმართველობისა, აღდგენა პირადის უშიშარ ყოფისა, გადასახადთა წესიერად აკრეფა, სკოლათა და ეკკლესიათა თავისუფლება და სხ. პორტას მოქმედებას მუდამ თვალ-ყურს უნდა ადევნებდნენ დიდნი სახელმწიფონი“.

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი.

კვირა, 21 სეკდემბერი. სიამოვნებით უნდა ვაუწყოთ მკითხველთ, რომ დასაწყისი სეზონისა, საზოგადოდ, ყოვლად ჩინებული იყო.

მართალია, საეჭვოდ არავის მიაჩნდა, რომ ბ-ნი აკაკი, დასაბამითვე მოამაგე და დიდად დახელოვნებული ჩვენის სცენის საქმეებში, თავის მადლიანს ხელს დაამჩნევდა წრევანდელს ქართულ წარმოდგენებს, მაგრამ კვირის წარმოდგენამ მაინც ყველა მოლოდინს გადააჭარბა.

ისეთი მწყობრი, შეგნებული და მოხდენილი თამაში, როგორიც კვირასა ვნახეთ, საზოგადოდ იშვიათად გვინახავს ჩვენს სცენაზე, და «სამშობლოს» ხომ ასე საუცხოვოდ წარმოდგენილს პირველად ვხედავთ.

თვით პიესის —«სამშობლოს» შესახებ იმდენი დაწერილა და თქმულა, ისე კარგად იცნობს ჩვენი საზოგადოება მისს ავ-კარგსა, რომ საჭიროდ აღარა ვსთვლით მის განხილვას.

მოთამაშეთა შორის გამარჯვების გვირგვინი ბ-ნმა გ. გუნიამ დაიმსახურა. შაჰ-აბაზის როლში გვინახავს ჩვენი საუკეთესო მსახიობნი—გ. მესხიშვილი, ვ. აბაშიძე, გ. გედევანოვი და სხ., მაგრამ ბ-ნმა გუნიამ ყველაზედ უკეთ დაგვისურათა ძლიერი, მრისხანე და ულმობელი მტარვალი ირანისა. სახის გამომეტყველება, სიტყვა-პასუხი, რიხი და ზავთი, მედიდურობა ყოველივე შესაფერისი ჰქონდა. მხოლოდ უნდა აღვნიშნოთ ერთი სულ მცირე ნაკლი: სიარულის დროს დიდს ნაბიჯს ადგამდა და აქეთ-იქით ირხეოდა. იმ ხასიათის კაცს-კი, როგორიც ძლიერი და მედიდური შაჰ-აბასი იყო, მოკლე და მტკიცე ნაბიჯი აქვს, თითქოს იმის თქმა უნდოდეს, ყოველი ჩემის ფეხის გადადგმა ძვირადა ღირსო; ამასთანავე არც წელში ირხევა. ეს მცირე ნაკლიც რომ თავიდგან აეცდინა ბ-ნ გუნიას, მისი თამაში სწორედ უზადო იქნებოდა.

ქ-ნ ნინო ჩხეიძეს პირველად ვხედავთ ქეთევნის როლში. როგორც მოსალოდნელი იყო, დიდ ხელოვნურად შეასრულა ამ ნიჭიერმა მსახიობმა თავისი როლი, მხოლოდ ერთი რამ დააკლდა: როცა ჯალათმა თითებზედ ქანჩი მოუჭირა და ისეთი სიმწარე მიაყენა, რომ ძალა-უნებურად ჩამოთვლევინა შეთქმულთა სახელები, მსახიობს მეტად მალე გაუარა ტკივილებმა და ისე თავისუფლად ჰხმარობდა ხელებსა, თითქოს ქანჩი კი არა, ხელიც არავის მოეჭირათ.

ბ-ნი კ. ყიფიანი საზოგადოდ საუცხოვო იყო, მეტადრე წამების წინად, მაგრამ ლოცვის დროს ნაძალადევი კანკალი დაეტყო მის ხმასა და ამ გარემოებამ, ცოტა არ იყოს, ხელი შეუშალა საზოგადო შთაბეჭდილებას.

ბ-ნი კ. მესხი (დედან ხიმშიაშვილი) ვერ იყო თავის ქერქში და ამას, რამდენადაც შევატყვეთ, თვით მსახიობიცა გრძნობდა, რაიცა კიდევ უფრო უშლიდა ხელს.

ბ-ნი კ. შათირიშვილი, ჩვეულებრივ, საუცხოო გოგია დიკვანი იყო.

დანარჩენი მსახიობნი ხელს უწყობდნენ მწყობრ და შეგნებულ თამაშსა.

ახალგაზრდა მსახიობთ შორის ბ-ნ გვარამძე (პატარა ბიჭსა თამაშობდა) უტყუარი სასცენო ნიჭი ეტყობა; ვუსურვებთ, რომ მუყაითის შრომით და მეცადინეობით მოჰკიდებოდეს თავის მოღვაწეობას და მალე მოენადირებინოს ჩვენის საზოგადოების გული ამ ასპარეზზედ.

სცენის მორთულობასა და მსახიობთა ჩაცმა დახურვის შესახებ უნდა ვსთქვათ, რომ ბ-ნ რეჟისორს დიდის დაკვირვებით მოეწყო და შეეხამებინა ყოველივე, მხოლოდ აქაც ერთი ნაკლი შევნიშნეთ: ქართულ ტანისამოსზე (ქულაჯასა და გაბაზედ) შალვარი ერთი ორად და ერთი-სამად უფრო ფართო უნდა, ვიდრე, ჩვეულებრივ, ჩვენი მსახიობნი იცმენ. ამასთანავე საშალვრე მატერია უფრო სქელი უნდა იყოს, თორემ სიფრიფანა სამოსელი მიმოხვრის დროს ტანს ეკვრის და უშნოდ ნაოჭდება (იქნება ამას სიიაფისათვისაც სხვადიან).

დასასრულ ბ-ნი რეჟისორი განსაკუთრებულ მადლობის ღირსია, რომ პიესის ენა ხელოვნურად გაუშალაშინებია და სცენიდგან, ჩვეულებრივ ჩაქართულის მაგივრად, წმინდა ქართული მოგვასმენია.

სულით და გულით ვულოცავთ ამ პირველ გამარჯვებას ახალს სეზონში დრამატიულ საზოგადოებას და ვუსურვებთ, რომ მომა-

---

მეტი არავის უქნია! აა დიდება შენთვის, ღმერთო! არ დაიღალე მაინცა?! მაგოდენას წივი და კივი, ან-კი რა თავი გიძლებს? კარგია, გეყოფა, გაჩუმდი, რომ ან ავი გავიგოთ, ან კარგი! ეჰე, აბა თუ დასვინდისდეს ეეე!!.

ტირილისაგან დაოსებული მაგდანი, როგორც იყო, გააჩუმეს. გაჩუმდნენ ყველანი და ამათმა სიჩუმემ გამოააშკარავა ტირილისაგან მისუსტებულის დათიკოს სლუკუნი, რომლის გაგონებაზედ მაგდანს მოაგონდა უმამოდ დარჩენილი დათიკო და ხელ-მეორედ მორთო ტირილი. შეიღრჯუეს აქეთ დათიკო კაცებმა, იქით მაგდანი ქალებმა და როგორც იყო, დააჩუმეს. მოხუცმა თავი მაღლა აიღო და ცხედრის ერთს მოყოლილთაგანს შეეკითხა:

— ჰა, ნიკო?! რა იყო საბაბი და როგორ მოხდა ეს უბედურობა?!.

დიდი დუმილი ჩამოვარდა.

— რაღა რა იყო,—დაიწყო ნიკომ— შავ-და-უკუღმა ის საათი! მე ჩემის თვალით ვუყურებდი და კიდეც დავუყვირე: მეეცა, მეეცა მეთქი, მაგრამ რა! შავ-და-უკუღმა ის საათი, აჰაანდე! საიდგანაც კლდესა ვზიდავდით, იმ გვერდის ძირას ერთი დიდი კლდის ლოდი გდია. მერე ი ოხერი ისეთი დიდია, რომ კალავიჯიანთ ლომა-კამეჩისტოლაა; კიდევაც დიდი იქნება და! იმ კლდის ასწვრივ, გვერდაში ე საწყალი იოკიმე კლდის დასაგორებლად მიდიოდა და იმის ასწვრივ, მთის წვერზე შეხორიხებულს კლდეებზედ ერთი დიდი კლდე თურმე წინწიბურად იდგა. ი ვერანა ნავთის ბოჭკებიანმა „პარახოტმაც“ მაშინ გამოიდრიგინა; იმისმა დრიგინმა იქაურობა გააზანზარა და ი წინწიბურა კლდე გადმოვარდა. იმან სხვებიც გადმოიყოლა და ნიავ-ქარივით დაგორდნენ; მაგრამ, ი ვერანა წინწიბურა კლდეს რო კაცის სისხლი სწყუროდა, სწორედ ი ძირს მდებარე დიდს კლდეს დაუპირდაპირა. შევასწარ თვალი დაა, ჰეჰეი! მაშინვე დავიყვირე: მეეცა მეთქი, მაგრამ რა! მერეა და, იქაც სწორედ ასეთი თოვლ-ჭყაპია, როგორც აქ. ი გვერდაზედ რო დავდიოდით, ფეხისაგან მოლიჰყდა. ჩემს ყვირილზედ იმანაც შეასწრო თვალი, გამოიქცა, წაუსხლტა ფეხი და ი დიდ კლდის ძირში გაიშხლართა. ასადგომად რომ წამოიწია, დაგორებული კლდეც მაშინ მიეხალა და მაგ საცოდავის თავს კი ჭაჭყა გაადინა...

— ვაი დედიჩემი ღმერთსა! უჰ, უჰ!— ამ სიტყვებით კაცებმა ნიკოს ლაპარაკი შეაწყვეტინეს, ჩაჰკრეს-აჰკრეს ხელი ხელს და ქალებმაც მუხლებზედ ხელების ცემით „უი, უი“ გააბეს. ამ ხმაურობაზედ მაგდანმა ტირილი ამოუშვა, მას დათიკოს უსიტყვო ტირილი შეუერთდა და შეიქმნა ჟრიამული, რომელიც მოხუცმა ერთხელ კიდევ შეაჩერა.

— ეგა, შვილო, სუ ე „პოპოშნიკისა“ და გზირის ბრალია,—იქაურობაზედ თვალის გადავლებით სთქვა მოხუცმა.

— როგორა, თომა?—შეეკითხა მეორე.

— ისე, რომ ბეგარაზედ წასვლა მაგისი რიგი არ იყო და მაინც კიდევ გაგზავნეს:

— არა, ჩემო, თომა—სთქვა ნიკომ,— ბეგარაზედ ხალხის გარეკვის დროსა სთქვეს: „ვინც ამ უსაქმობის დროს წავა იმას საქმის დროს აღარ გავგზავნითო“, მაგრამ ყველანი დაიშამათნენ. მაგ საცოდავმა კი ღვთის წინაშე თითონ უთხრა: „ოღონც საქმის დროს ნუ მომაცდენთ და მე წავალო“. ისინიც შეჰპირდნენ, და ეგეც ადგა და წავიდა. იმათი კი არა, ამ ოხერა ხარჯსა და ბეგარას რომ თავი ვეღარ ავართვით, იმისი ბრალია!..

— ეგ ყველა-ყველა, რაც იყო, იყო— სთქვა თომამ,—ეხლა ამ ცხედარს მოვლა უნდა.

თომას უკანასკნელმა სიტყვებმა ხალხი თავ-თავის გზას გაუყენა: ზოგნი მოკეთეებში ამბავის მისატანად გაგზავნეს; ზოგნი პურის გამოცხობას, ზოგნი ღვინის და ზოგნიც ხორაგის მომზადებას შეუდგნენ. მესამე დღეს ყველაფერი მზად იყო და თავ-განაჭყულ იოკიმეს უსულო გვამი მიწას მიაბარეს.

პურის ჭამის შემდეგ ხალხი დაიშალა, თავ-მდგომებს, მეთვალყურეებს-კი სუფრა გაუახლეს. იოკიმესი, იმის მიცვალებულების შესანდობელი და დანარჩენთა სადღეგრძელო ჩამოთავდა. თომამ აიღო სავსე ჭიქა ადღეგრძელა მაგდანის ძმა სოლო, უსურვა ყოველი სიკეთე და ზედ ასეთი ლაპარაკი მოაბა:

— ეს რაც იყო-იყო, მაგრამ ე ქვრივისა და ობლების საქმე როგორღა გავასწოროთ, ჰა, სოლო?

— რა საქმე აქვთ გასასწორებელი?— იკითხა სოლომ.

— ზოგი ვალი მართებთ, ზოგიც „ფოსტის“ ფული და წვრიმალა ხარჯი ექნებათ გასასტუმრებელი.

— მაგათი საქმე, ჩემო თომა, მე ასე მიძევს გულში: რაც რამ აბადიათ, მოყიდ-მოყიდონ; ზოგიც ვალში მისცენ; თითონ ქალაქ ადგილას წავიდნენ: ე ბიჭი ხელობაზე მიაბაროს, თითონ ხელზე ემსახუროს ვისმე და ისე იცხოვრონ.

— ეგ კაი სარისტაა, მედა ჩემმა ღმერთმა! აგრე რომ მოიქცნენ, ბატონივით იცხოვრებენ. მერე ე ბიჭიც რაკი ხელობას ისწავლის, მაშინ ხომ ქეთხუდებად გახდებიან. ერთი ეს-კი უნდა ვთქვა: ე მიცვალებულს ან წლის წირვა არ უნდა, ან რიგის შესრულება?!.

— ეგ საქმე, კაცო, სიტყვით რომ მალე ვსთქვით, საქმითაც მალე არ გაკეთდება; აქედან უნდა დაიწყოს და შემოდგომამდის მოთავდეს. შემოდგომაზე წირვას გადაუხდიან და ქალაქსაც წავლენ.

— ჰოო, გიშველა ღმერთმა!.. თუ გინდათ, ნაფუზარი და ვენახი მე მომეცით: ზოგი ზედა მართებთ და ზოგსაც ფულს მივცემ; დანარჩენის მუშტარიც გამოჩნდება...

— ეხლა, ჩემო თომა, მაგაზედ ლაპარაკის დრო არ არის. ხვალ „პოპოშნიკს“, გზირს, თავ-კაცებს, მოვალეებს მოვიწვევთ; შენც აქ იქნები და ყველაფერი მაშინ გადავწყვიტოთ.

— შენ იცი, ჩემო სოლო, თუ ცალიერს არ გამატარებ—ცბიერის კილოთი მიუგო თომამ...

VII

მეორე დღეს შუადღემდის ხსენებულ კაცთა თანადასწრებით იოკიმეს მთელი ავლა-დიდება მოვალეებმა გაინაწილეს, რის შემდეგ ყველანი გაშლილს სუფრას შემოუსხდნენ. მაგდანის ძმამ—სოლომ სავსე ჭიქა აიღო:

— ღმერთო, შენს მოწყალებას ნუ მოაკლებ ამ ოჯახს, ამ ოჯახში მყო.

— ვინა ხართ ქრისტიანები, მიშველეთ შემოესმა გარედგან წიოკობა..

გაიღო უცებ კარები, საიდგანაც გამოჩნდა ფერ-წასული მეზობლის ქალი, რომელსაც ხელში ამოსვრილი იოკიმეს ქალი-შვილი ეჭირა. ამის დანახვაზედ მაგდანმა ორთავ ხელები თავში შემოითხლიშა, შემაზარავის ხმით ერთი დაიკივლა და გულ-წასული დაეცა. სუფრას მსხდომი ხალხი სახტად დარჩა: ზოგს ცალ-ხელში პური გაუშეშდა და მეორე ხელი პირჯვრის გამოსასახავად გულზედ დარჩა; ზოგნი თვალებ დაჭყეტილნი გახევდნენ; ზოგნი მაგდანს მისცვივდნენ მოსაბრუნებლად, ზოგნიც მივარდნენ მეზობლის ქალს და თვალებ გადმოკარკლული ბავშვი ხელიდგან გამოჰგლიჯეს და თან მიზეზი გამოჰკითხეს:

— ბავშები ურემს აბოლავებდნენ... ამან ქვეშ გაიარა... ურემი უცეფ აუშვეს... თათები თავში დაეცა... ვაი მეე, თამარ!..

ამ დროს ბავშვი შეფანთხალდა, ერთი გაზმორა და სულიც დალია...

* * *

გიორგობის თვე იყო. სახალხო მატარებლის ერთს ვაგონში სარკმლის ძირას სკამზედ ჩამომჯდარიყო დათალხული ქალი, რომელსაც სარკმლიდგან გადამცქერალს, თოთხმეტის წლის ბიჭზედ ხელი მაგრა ეკიდა. გამხმარს-გაყვითლებულს მის ლოყებზედ კურცხალ-კურცხალი ცრემლები ჩამოგორავდნენ.

ესენი იყვნენ: მსხვერპლიძიაანთ აღელებულის ოჯახის ნაშთნი, რომელთაც ორთქლ-მავალი ქაქანით ქ. ტ—სკენ მიაქროლებდა.

ბებნისელი.

გალ წარმოდგენებიდანაც ისე კმაყოფილნი დავბრუნებულიყოთ, როგორც გასულ კვირას.

თეატრი გაჭედილი იყო მაყურებლებითა და უბილეთობის გამო იმდენი ხალხი გაბრუნდა უკან, რომ ორი ჩვენის თეატრის ოდენა შენობაც ვერ დაიტევდა. კარგს ინებებენ თეატრის გამგენი, თუ ამ ახლო მომავალში ან აქვე, და ან ავლაბრის თეატრში ისევ გაიმეორებდნენ «სამშობლოს».

კიდევ მადლობა ბ-ნ რეჟისორს, რომ წარმოდგენა სწორედ დანიშნულ დროს—8 საათზე დაიწყო და არც ანტრაქტები გააჭიანურა.

—

ქ. ქუთაისი. კრასოვის დრამატიული დასი კვირაში ერთჯერ, ხან ორჯერ მართავს ქუთაისში რუსულ წარმოდგენებს. პირველი წარმოდგენა არის დანიშნული ექვს ოკდომბერს.

—

რუსული ოპერა. შაბათს, 20 სეკდემბერს, სახელმწიფო თეატრში ოპერების სეზონი დაიწყო. წარმოდგენის წინად ფარდა რომ აიხადა, სცენაზედ მწყობრად იდგნენ არტისტები, ქალ-ვაჟთა გუნდები და უკან სამხედრო მუსიკა. ყველამ ერთად და ორმა ორკესტრმა შეასრულეს რუსეთის სახალხო ჰიმნი: „ღმერთო, ჰფარვიდე მეფესა“, რომელიც დამსწრე საზოგადოებამ გაამეორებინა. შემდეგ წარმოადგინეს „ევგენი ონეგინი“, პოემა პუშკინისა და მუსიკა ჩაიკოვსკისა. პირველად არტისტები როგორღაც გაუბედავად არდგენდნენ და მღეროდნენ, ასე რომ საზოგადოება ხმა-გაკმენდილი უყურებდა და თითქო მოწყენილიც იყო. მხოლოდ ალაგ-ალაგ თითო-ოროლა ტაში ისმოდა. შემდეგ არტისტები ცოტა გაცოცხლდნენ და თავისს თამაშობისა და მომღერლობის ნიჭი გამოიჩინეს. საერთოდ წარმოდგენამ რიგიანად ჩაიარა. ხოლო კერძოდ ვერც ერთმა არტისტმა ვერ მოჰხიბლა საზოგადოება. «ევგენი ონეგინი» აქაურმა ოპერის მოყვარულებმა თითქმის უმეტნაკლებოდ იციან ზეპირად, ყველას საუკეთესო არტისტები უნახავს უმთავრეს როლებში, ასე რომ ეხლანდელს წარმოდგენაში ახალს ვერაფერს გაიგონებდა. ამითაც აიხსნება ის არტისტთათვის არა სასურველი გარემოება, რომ საზოგადოება მოწამესავით უყურებდა სცენას და თავ-დაჭერით ისმენდა საუკეთესო სიმღერებს. მხოლოდ გასამხნევებლად გაამეორებინა ორიოდე არიოზო ქ-ნ რენე-რადინას, ტატიანას პარტიის აღმსრულებელს, ბ-ნ გლადკოვსა (ონეგინს) და ბ-ნ რაისკის (ლენსკი) ბ-ნ გლადკოვს გამოჩენილი არიოზო:“ «ეჭვი არ არის, მიყვარს!»... სამჯერაც-კი გაამეორებინეს. სამართალი მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ უკანასკნელი სცენა ტატიანამა და ონეგინმა საუცხოვოდ ჩაატარეს. სცენის მოწყობილობა ყოველ მოქმედებაში ამ ხანად გვლავინდელზედ უკეთესი იყო.

—

კვირას, 21 სეკდემბერს «რომეო და ჯულიეტა» წარმოადგინეს. რომეოს პარტია ბ-ნმა ფიგნერმა შეასრულა. მღერითაც ჩინებულად მღეროდა და თამაშობაც კარგი ჰქონდა. ჯულიეტას აღმსრულებელიც მხარს უჭერდა, თუმცა ისე არა, როგორც სასურველი იყო. საზოგადოება ფიგნერს აღტაცებით მიეგება და რამდენიმე ნომერი გაამეორებინა კიდეც. ჯერ-ჯერობით მთელს დასში მხოლოდ ერთი ფიგნერი იქცევს საყოველთაო ყურადღებას. ფიგნერი სასიამოვნო ხმის პატრონია, გულით და სულით მღერის და ჰხიბლავს მსმენელს.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

20 სეკდემბერი.

ბერლინი. ბელგრადიდგან იუწყებიან, სამხედრო მინისტრად, ალბად, შეთქმულთა მეთაურს მაშინს დაჰნიშნავენო; მაშინის დანიშვნას თვითონ მეფე ნდომობს; უკიდურესნი დასნიც მაშინის კანდიდატურას აძლევენ მხარსაო.

მიურცშტეგი. ნადირობის მეორე დღეს უფრო კარგი ამინდი იდგა, ვიდრე პირველ დღეს. სანადიროდ არჩეული ადგილი კლდიანია და თითქმის მიუვალი. მათნი უდიდებულესობანი ერთად წავიდნენ ეტლით. ბოლოს მათნი უდიდებულესობანი ეტლიდან გადმობძანდნენ და კარგა მანძილი ცხენებით გაიარეს; შემდეგ ქვეითად იარეს. ნადირობამ ძლიერ კარგად ჩაიარა. მთელი ეს მხარე გახარებულია. დღეს, ნადირობის შემდეგ, მიურცშტეგში მინისტრები და ელჩები საზოგადო კრებას დაესწრებიან. მოლაპარაკების შედეგს გარკვევით აღნიშნავენ და მერე ორსავ ხელმწიფეს წარუდგენენ.

მიურცშტეგი. მინისტრებს უმთავრესად მაკედონიის რეფორმის პროგრამაზე ჰქონდათ თათბირი; ეს პროგრამა გააფართოვეს. თათბირის შედეგის შესახებ მოკლე ხანში ცნობა დაიბეჭდება. რუსეთსა და ავსტრია-უნგრეთს ჯერ კიდევ იმედი აქვთ,—ოსმალეთი რეფორმებს შემოიღებს და მაკედონიაში წესიერებას აღადგენსო.

ლონდონი. კობედან იუწყებიან: იაპონიის ჯარი დარიდან კიუსიუს, კორეიის წავიდაო. კარაცუში უფრო მეტ ჯარსაც ჩასხავენ გემებში. ცუსიმის მცხოვრებთა ჯარი გააძლიერეს. პორტ-არტურში ხის ახალ სახლებს აშენებენ 50 ათას რუსის ჯარის კაცისათვის. ეს ჯარი პორტ-არტურში ადგილობრივ ჯარის გასაძლიერებლად გაიგზავნება.

სტამბოლი. საზღვარ-გარედ ამბავი გაავრცელეს, ვითომ ინგლისს წინადადება მიეცეს მაკედონიის რეფორმის პროექტი გაფართოვდესო და ელჩები ახლა წინადადების განხილვაში არიანო. ეს ცნობა მართალი არ არის.

მიურცშტეგი. ხელმწიფე იმპერატორი, ავსტრიის იმპერატორი, ერცჰერცოგი და სხვანი ნადირობაზე მოწვეულნი ნეიბურგს წავიდნენ სანადიროდ. სანადირო ცირე-დარბაზში დილის 11 საათს 30 წ. ხელ-და-ხელ ისაუზმეს და მერე ნეიბურგს წავიდნენ. როცა მათნი უდიდებულესობანი ეტლში სხდებოდნენ, მონადირეებმა თავიანთი საკრავები დაუკრეს. ნეიბურგის ვაგზლის წინ ხელმწიფეებს დიდძალი ხალხი ელოდებოდა და აღტაცებით მიეგება. ხელმწიფენი საგანგებო სამეფო მატარებელში ჩასხდნენ; იქვე ჩასხდნენ სხვანიცა, ვინც ნადირობაში მონაწილეობას იღებდნენ. 6 საათსა 30 წ. მატარებელი დაიძრა.

21 სეკდემბერი

პეტერბურგი. მისის იმპერატორებითის უმაღლესობის მიხეილ ნიკოლოზის ძის ჯანმრთელობას ყოველ მხრივ უკეთესობა დაეტყო. რომ უფრო უკეთესად შეიქმნეს, უავგუსტოესი ავადმყოფი 21 სეკდემბერს კანს მიემგზავრება.

— სერბიის წარმომადგენელი პეტერბურგში გვთხოვს უარ ვყოთ ის მოგონილი ამბები, რომელიც ვითომ ბელგრადიდან მიღებულიაო, ისე დაჰბეჭდეს ზოგიერთმა აქაურმა გაზეთებმა; დაჰბეჭდეს აგრეთვე, ვითომ სერბიის ოფიცერთა საქმე მეტად მწვავდება, ახალ დემონსტრაციებს ამზადებენ, მდგომარეობა გაჭირვებულია და ტოპჩიდერისაკენ მიმავალ გზაზე ერთი მოკლული და ერთიც მძიმედ დაჭრილი ოფიცერი იპოვესო.

მოსკოვი. აქ მოვიდა სადრაზამათაბეგ-აზამ და აქედან ბრესტის გზით გაემგზავრება.

სტამბოლი. სხვა-და-სხვა ადგილს ახალი სასამართლოები გაჰმართეს ჯარებისა და ბაშიბუზუკების მიერ ჩადენილის ძალმომრეობის გამოსაკვლევად.

5 ათასი ლირა, რომელიც ხონთქარმა დანგრეულ ეკკლესიების აღსადგენად შესწირა, მხოლოდ მონასტირის ვილაეტისათვისაა გადადებული; სხვა ვილაეტებსაც მისცემენ საჭირო ფულს.

ბელგრადი. სკუპშჩინამ უკანონოდ იცნო ექვსი არჩევანი, მათ შორის გენჩიჩისაც. თავმჯდომარედ არჩეულია სტოიანოვიჩი, ნიკოლიჩი და დავიდოვიჩი—თავმჯდომარის ამხანაგებად.

ბერლინი. ლონდონიდან იტყობინებიან, კაბინეტი უკვე შესდგაო. ლორდ სელბორნი კოლონიების საქმეთა სტატს-სეკრეტრად იქნებაო.

ბელგრადი. მეფემ სკუპშჩინის თავმჯდომარის ბიურო და ახალ კაბინეტის შედგენა გრუიჩს მიანდო.

სტამბოლი. პორტა იუწყება, რომ 400 კაცი ბულგარელ მილიციონერებისა 16 სეკდემბერს შემოესია სოფ. ბელიდაბეს, ქრისტეანებისა და მუსულმანების სახლებს ცეცხლი წაუკიდეს, იქაური ბულგარები ძალად თან წაიყვანეს და მიდამოების სიმაღლეებზე გამაგრდნენო. სხვა რაზმები სერესის სანჯაყში შევიდნენო; რკინის გზით ბელოვამდე მისულან, აქედან სამაკოვზე გაუვლიათ და რაზლოგს მისულან. ამბობენ, განზრახვა აქვთ სოფლებს ცეცხლი წაუკიდონ და მცხოვრებლებიც ამოსწყვიტონო. ბევრი მცხოვრები დახმარებას თხოულობს.

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორი 20 სეკდემბერს საკუთარის მატარებლით დარმშტადს გაემგზავრა.

22 სეკდემბერი.

პეტერბურგი. ავგუსტოესის მონარქების ბრძანებით, გრაფებმა ლამზდორფმა და გოლუხოვსკიმ გაუგზავნეს რუსეთისა და ავსტრია-უნგრეთის ელჩებს სტამბოლში შემდეგი დეპეშა: „თქვენ გქონდათ დავალებული გამოგეცხადებინათ ოსმალეთისათვის, რომ რუსეთი და ავსტრია-უნგრეთი მტკიცედ განაგრძობენ დაწყებულ საქმეს მშვიდობის მოფელობისას იმ პროგრამის მიხედვით, რომელიც ამ წლის დამდეგს იქმნა შემუშავებული. თუმცა პროგრამის განხორციელებას დაბრკოლებანი დახვდა, მაინც ამ განზრახვას მტკიცედ ადგნენ. მართლაც, როცა ერთის მხრივ სარევოლიუციო კომიტეტები უწესოებას აძლიერებდნენ და მით ხელს უშლიდნენ სამის ვილაიეტის ქრისტიანს ხალხს, შემწეობა აღმოეჩინა რეფორმების შემოღებისათვის, მეორეს მხრივ ოსმალეთის მთავრობის წარმომადგენელნი, რომელთაც მინდობილი ჰქონდათ ამ რეფორმების შემოღება, საზოგადოდ ვერ იჩენდნენ სასურველს გულ-მოდგინეობას და ვერ განიმსჭვალნენ ჭეშმარიტის აზრით, რომელიც ამ ღონისძიებას ედო საფუძვლად; იმდენად ვერ განიმსჭვალნენ, რომ მტკიცედ და გადაწყვეტით შესდგომოდნენ რეფორმების განხორციელებას; ეგ რეფორმები პორტამ შეიწყნარა და მათი აზრი ის იყო, რომ საერთო უშიშროება ჩამოვარდნილიყო. აწ ორივე მთავრობამ პირობა მისცეს ერთმანეთს მეტი კონტროლი და ზედამხედველობა გაუწიონ ამ საქმეს; თქვენ დაუყოვნებლივ მიიღებთ გარკვეულ რჩევა-დარიგებას ამ საქმის შესახებ. თუ ერთის მხრივ ორივე მთავრობა სრულიად თანხმაა, რომ ოსმალეთს უფლება აქვს და მოვალეც არის დათრგუნოს უწესოებანი, კომიტეტების პიროტმზრახველ აგიტაციით გამოწვეული, მეორეს მხრივ არ შეუძლიანთ საწუხრად არ მიიჩნიონ, რომ მაგ დათრგუნვას თან სდევდა ძალმომრეობა და მტარვალობა, რომელთაგანაც იტანჯებოდა მშვიდობიანი ხალხი. ამიტომ ორივე მთავრობას აუცილებელ საჭიროებად მიაჩნია დახმარება აღმოუჩინოს ამ სამწუხარო ამბების მსხვერპლთ; ზემოხსენებულის ინსტრუქციებით მიხვდებით, რა ღონით უნდა შეეწიოთ ცხოვრების ყოველ სახსარ მოკლებულთ, რა გზით უნდა გაუადვილოთ თავიანთ ღვიძლ-მამულზე დაბრუნება და რა გვარად უნდა იზრუნოთ გადამწვარ სოფლებისა, ეკკლესიებისა და სკოლების აღდგენისათვის. რუსეთისა და ავსტრია-უნგრეთის მთავრობას მტკიცე იმედი აქვთ, რომ მათი განუწყვეტელი მეცადინეობა მშვიდობის დამყარებისათვის ამბოხებისაგან დაზარალებულ ქვეყნებში სასურველ ნაყოფს გამოიღებს და დარწმუნებულია, რომ მათი მიუკერძოებელი რჩევა შეწყნარებულ იქნება ყველასაგან, ვისაც იგი შეეხება“.

ბერლინი. იმ დიდ სახელმწიფოებს, რომლებსაც ხელი უწერიათ ბერლინის ტრაქტატზე, ეუწყებათ ყოველივე, რაც გადაწყდა მიურცშტეგში.

ვენა. საიმპერატორო მატარებელი მონარქებით, ერცჰერცოგ ფრანც-ფერდინანდით და ამალით მოვიდა 20 სეკდემბერს. იმპერატორები გულ მხურვალედ გამოეთხოვნენ ერთმანეთს.

სოფია. ორი გარემოება აწუხებს მთავრობას—ომის წყურვილი ოსმალთა, რომელთა მხედრობა ყოველ წუთს ელის ომიანობის დაწყობას და გამუდმებული დენა მშიერ-მწყურვალ ლტოლვილთა.—ნაჩევიჩი 20 სეკდემბერს წავიდა სტამბოლს, რომ ყოველივე შესაძლებელი ჰქმნას განსაკარგებლად ოსმალ ბულგართა ურთიერთობისა, რომელიც კვლავ გამწვავდა მას უკან, რაც ახალნი ჯუფთნი გამოჩნდნენ რაზლოგსა, ბანსკოესა და კრატოვს.—მთავრობამ ბრძანა შემწეობა აღმოუჩინონ ლტოლვილთ, სამაზრო საბჭოებმა გადასდეს ფული მათთვის; კერძო ქველ-მოქმედებმაც იჩინა თავი.—ოსმალეთის ბოლონდელმა ნოტამ დიდთ სახელმწიფოთა მიმართ, უკანასკნელად ვთხოულობთ, რომ ბულგარიის მთავრობამ მოსპოს გადმოსვლა ჯუფთებისა, დიდად შეაშფოთა აქაურობა.

დარმშტატი. ხელმწიფე იმპერატორი მობძანდა აქ 21 სეკდემბერს.

მიურცშტეგი. მინისტრთა ბჭობაზე გამოირკვა სრული თანხმობა ყოველი საგნის თაობაზე, რომელიც-კი შეეხება საპოლიტიკო მდგომარეობას.

სოფია. დემირ კაპუსთან მოუხდა შებრძოლება ოსმალეთის კავალერიის ესკადრონსა და ბულგარიის ჯარსა. მოიკლა 11 ბულგარი და ოცი ოსმალი.—აჯანყებულთა ბანაკიდან იუწყებიან, რომ გუშინ გამძაფრებული ბრძოლა იყო სულთან გაბროისა და მაჩევთან. მთლად ბანისკო ცეცხლში იწვის.—ცონჩევსა და იანკოვს, რომელთაც ორგან გაიმარჯვეს, ახლა ოსმალთა ჯარები გარს შემოერტყნენ.—სამაკოვში ელიან ათასამდე ლტოლვილს აკლებულ და გადამწვარ ბელიცადან.—გეშოვი და დანევი, აგრეთვე ორი სხვა მეთაური ოპოზიციისა წავიდნენ პროვინციაში საარჩევნო აგიტაციისათვის მას შემდეგ, როცა მთავარმა უარი უთხრა და არ მიიღო იგინი მოსალაპარაკებლად. შინაგან საქმეთა მინისტრიც ხელახლად გაემგზავრა საარჩევნო საქმეთათვის.

ბელგრადი. ახალი კაბინეტი: გენერალი გრუიჩი—მთავარ-მინისტრი, ანდრია ნიკოლიჩი—გარეშე საქმეთა, სტოიან პროტიჩი—შინაგან საქმეთა, ნიკოლა ნიკოლაჩი—იუსტიციისა, ლიუბა სტოიანოვიჩი—სარწმუნოებისა, რადოვანოვიჩი—ფინანსთა, ვლადა ტოდოროვიჩი—საზოგადო მუშაობათა, პეტკოვიჩი—ვაჭრობისა და პოლკოვნიკი ადნევიჩი—სამხედრო.

პეტერბურგის ბირჟა 19 სეკდემბერს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,50
ბერლინში 100 მარკაში	45,90
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,45
ბერლინში ,,	46,30
პარიჟში ,,	37,50
ბირჟის დისკონტი	5—6½%
4% სახელმწიფო რენტა	99½ გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	99
4% გირავნ. ფურც. სახელ. სადგ. მამულთა ბანკისა	95⅛ მყიდ.
5% პირ. შინაგ. მომგებ. ბილ. 1864 წ.	445 მყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	336½ წვ. გაყიდ.
5% გირავნ. ფურც. სახელმ. სადგ.-მამ. ბანკისა.	286¾ გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	94⅜
4½% ობლიგაც იმავე საზოგადოებისა.	—
4% ტფილ. სადგ. მამ. ბანკისა გირავნ. ფურცლ.	—
5% გირავნობ ფურც. იმავე ბანკისა	92½ წვ. გაყ.
6% ქუთ. სადგ. მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაიები ძმ. ნობელთა სანავთო მრეწვ.	9500 გაყ.
აქციები. ,, ,, ,,	—
,,კასპიის ამხანაგობისა.	3850 წვ. გაყ.
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	—
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	192½ მყიდ.

გამოსადეგი ცნობები.

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა.

18 აპრილიდგან.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს: 1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 10 ს. 37 წ. 2) საფოსტო № 3 სადამოს 6 ს. 18 წ. 3) სამგზავრო № 5 დილის 7 ს. 49 წ.

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 4 ს. 24 წ. 2) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 49 წ.; 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 32 წ.

ყარსსა და ერევანს: 1) საფოსტო № 74_{75} ღამის 12 ს. 30 წ.; 2) სამგზავრო № $90/_{91}$ შუაღის 12 ს. 38 წ.

ბორჯომს: 1) სამგზავრო № $7/_3$ ნაშუადღევის 2 ს. 58 წ.; 2) სამგზავრო № $9/_{10}$ დილის 9 ს. 21 წ.

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № ღამის 11 ს. 22 წ., ჩამოდის ტფილისს დილით 9 ს. 42 წ. 2) საფოსტო № 4 სადამოს 10 ს. 21 წ., ჩამოდის ტფილისს დილის 11 ს. 8 წ., 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს. 37 წ. ჩამოდის ტფილისს საღამოს 11 ს. 1 წ.

გ. ბაქოდგან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე, პარასკეობით, მოსკოვიდან მომავალი) დილის 4 ს. 40 წ. ტფილისს მოდის ნაშუადღევის 5 ს. 51 წ. 2) საფოსტო № 3 სადამოს 10 ს. 16 წ., ტფილისს მოდის ნაშუადღევის 5 ს. 23 წ. 3) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 1 ს. ტფილისს მოდის დილის 5 ს. 5 წ.

დ) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: ღამის 1 ს. 58 წ.; და დღის 2 ს, 23 წ.

ბათუმისაკენ; ღამის 1 ს. 58 წ.; დღის 8 ს. 23 წ.; დღის 4 ს. 48 წ.

შორაპნისაკენ: დღის 3 ს. 8 წ.

—

დაწესდა დღე და ღამ მორიგეობა ბებია ქალთა ქალაქის სამკურნალოში, რომელიც მუხრანის ქუჩაზეა და ოლგის საბებიო ინსტიტუტში. ყველამ, ვისაც დასჭირდება ბებია-ქალი ორსულთა, მშობიარეთა და მელოგინეთა პირველ დახმარებისათვის, უნდა შეიტანოს ახლად დაარსებულ ბებია-ქალთა დამხმარებელ საზოგადოების სასარგებლოდ ერთი მანეთი.

საეკკლესიო მუზეუმი

(სიონის ტაძრის ეზოში)

დათვალიერება შეიძლება სამშაბათობითა და ხუთშაბათობით 9—11 საათამდე და კვირაობით 10—1 საათამდე, ვისაც სხვა დროსა სურს დათვალიერება, შეუძლიან მიჰმართოს მუზეუმის გამგეს—ბ-ნ მოსე ჯანაშვილს (მინკვიცის ქ. № 27)

ტფილისის საზოგადო წიგნთ-საცავი

(მთავარ-მართებლის სასახლის პირდაპირ)

1 აპრილიდან 1 ოკდომბრამდე იღება 2 საათზე და იკეტება 6 საათზე შუადღის შემდეგ.

1 ოკდომბრიდან 1 აპრილამდე იღება 12 საათზე და იკეტება 5 საათზე შუადღის შემდეგ. წიგნთ-საცავში მრავალ რუსულ, ქართულ, სომხურსა და ევროპიულ წიგნებს გარდა, ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთობაც არის. მკითხველთათვის დიდი დარბაზია მოწყობილი. შესვლა უფასოა.

კვირა-უქმე დღეს წიგნთ-საცავი დაკეტილია; ზაფხულობითაც 15 აგვისტომდე დაკეტილია.

კავკასიის მუზეუმი

მთავარ-მართებლის სასახლის პირდაპირ)

დათვალიერება შეიძლება სამშაბათს, პარასკევსა და კვირა დღეს, დილის 10 საათიდან 3 საათამდე. შესვლა ერთი აბაზია.

განცხადებანი

ქუთაისში

ს. მ. ბ. თოფურიას

სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშე, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ხესილის ნერგები

საზღვარ გარეთისა და ადგილობრივი, საუკეთესო ხარისხისა, იყიდება ზომიერ ფასად ფარსადან იაკ. აგსარქისოვის მამულში. ადრესი: უბრალო წერილებისათვის—სკრა კაკ. რკ. გზის სადგური. ხოლო ფულისა და „ზაკაზნოი“ წერილებისათვის: ქ. გორში ფარ. იაკ. აგსარქისოვს.

კატალოგები მსურველთ უფასოდ გაეგზავნებათ. (11—195—6)

ყველა

ადვილად და პატიოსნურად იშოვოს თვეში 400 მანეთს. არც დიდი ცოდნაა საჭირო და არც ხარჯი, მხოლოდ ჩქარა გამოგზავნეთ თქვენი ადრესი! U. 111, an das Annoncen-Bureau des Merkur in Mannheim Meerfeldstrasse, 44.

(50—24)

ДЕНИСОВСКІЙ

მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი

„ოდობრინი“ მ. ჯ. ლებედევისა

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენსამე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცს ძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.

იყიდება ტფილისში—საფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და მის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში.

(33—6—20)

Дозволено цензурою, Тифлисъ, 20 сентября 1903 г. Типографія Е. И. Хеладзе Русскій базаръ, домъ армянскаг. семинаріи დროებით-რედაქტორი ზ. ჭიჭიძე, გამომცემელი ა. ხარაჯიშვილი,